საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-18/420
18/07/2019

420-შ-19-1-4-201907181236

შპს „სტუდია მაესტროსთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

I. აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია („შემდგომში კომისია) აღნიშნავს, რომ 2019 წლის 8 ივლისს, კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის (N19-10-1207, 04.07.19) საფუძველზე დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება შპს „სტუდია მაესტროსთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 31 მარტიდან 19 მაისის თვის ჩათვლით ჩატარებული მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა, რომ შპს „სტუდია მაესტროს“, წინასაარჩევნო პერიოდში საკუთარ სამაუწყებლო ბადეში არ განუთავსებია წინასაარჩევნო დებატები. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საერთო მაუწყებელმა უნდა გადასცეს წინასაარჩევნო დებატები მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს. ამასთან, 2019 წლის 13 ივნისს კომისიაში შემოსული შპს „სტუდია მაესტროს“ საპასუხო წერილიდან დგინდება (N19-6/2664, 13.06.19), რომ საარჩევნო სუბიექტები მოწვეულ იყვნენ დებატებში, თუმცა მათი მხრიდან უარის მიღების გამო დებატები ვერ შედგა. აღნიშნული განცხადების დასადასტურებლად, შპს „სტუდია მაესტროს“ მხრიდან კომისიაში არანაირი მტკიცებულება წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების დეპარტამენტს მიაჩნია, რომ სახეზეა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა.

საკითხის განხილვა დაინიშნა 2019 წლის 11 ივლისს 15:00 საათზე; აღნიშნულის თაობაზე, შპს „სტუდია მაესტროს“ გაეგზავნა შეტყობინება და მოწვეულ იქნა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად. მაუწყებელს, ასევე განემარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლებით გათვალისწინებული მტკიცებულებებისა და შუამდგომლობების წარმოდგენის, აგრეთვე საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების გამოთხოვის უფლება.

კომისიის 2019 წლის 11 ივლისის სხდომას ესწრებოდა შპს „სტუდია მაესტროს“ წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ საარჩევნო სუბიექტები მოწვეულნი იყვნენ დებატებში, თუმცა მათი მხრიდან უარის მიღების გამო დებატები ვერ შედგა. აღნიშნული განცხადების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოსადგენად, შპს „სტუდია მაესტრომ“ მოითხოვა დამატებითი ვადა, რაც

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

კომისიის მიერ დაკმაყოფილდა და საკითხის განხილვა გადაიდო 2018 წლის 18 ივლისს, რის თაობაზეც შპს „სტუდია მაესტროს“ წარმომადგენელი გაფრთხილდა კომისიის 2019 წლის 11 ივლისის სხდომაზე კანონის შესაბამისად.

კომისიის 2019 წლის 18 ივლისის სხდომას ესწრებოდა შპს „სტუდია მაესტროს“ წარმომადგენელი ნ. ფაშალიშვილი, რომელმაც სხდომაზე განაცხადა, რომ კომპანიამ ვერ შეძლო მოეპოვებინა მტკიცებულებები კვალიფიციური სუბიექტების დებატებში მონაწილების მოწვევის თაობაზე.

II. გამოკვლეული მტკიცებულებები

1. კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (N19-10-1207, 04.07.19);
2. შპს „სტუდია მაესტროს“ საპასუხო წერილი დებატების არ ქონის თაობაზე (N19-6/2664, 13.06.19);
3. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სამსახურებრივი ბარათი (N19-10-1263, 10.07.19);
4. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრისა და კომისიაში დაცული ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მონაცემები შპს „სტუდია მაესტროს“ შესახებ;
5. შპს „სტუდია მაესტროს“ უფლებამოსილი წარმომადგენლის ახსნა-განმარტება მიცემული კომისიის 2019 წლის 11 და 18 ივლისის სხდომებზე.

III. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

1. შპს „სტუდია მაესტრო“ წარმოადგენს კერძო, საერთო მაუწყებლობაზე ავტორიზებულ პირს 2012 წლის 13 ივლისიდან;
2. შპს „სტუდია მაესტრო“ 2019 წლის 31 მარტიდან 19 მაისის ჩათვლით, სამაუწყებლო ბადეში არ ანთავსებდა წინასაარჩევნო დებატებს;
3. შპს „სტუდია მაესტროს“ კომისიის 2018 წლის 13 დეკემბრის N685/18 გადაწყვეტილებით - „შპს „სტუდია მაესტროსთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ მიეცა წერილობით გაფრთხილება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^1 მუხლის მე-10 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტების, 55-ე მუხლის პირველი პუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის გამო.

IV. კომისიის მიერ წინამდებარე გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საერთო მაუწყებელმა უნდა გადასცეს წინასაარჩევნო დებატები მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს, ხოლო მე-2 პუნქტის შესაბამისად, საერთო მაუწყებელმა მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს, აგრეთვე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არადისკრიმინაციულად უნდა უზრუნველყონ ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის თანაბარი მონაწილეობა წინასაარჩევნო დებატებში;

2. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^1 მუხლის მე-10 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტების შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია დაიცვას მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის, კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები; მაუწყებლობის სფეროში მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში უზრუნველყოს ავტორიზებული საქმიანობის მათთან შესაბამისობა და დაიცვას ავტორიზაციის ყველა პირობა, რომლებიც მის საავტორიზაციო განცხადებაშია ასახული;

3. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს მის მიერ გადაცემული პროგრამების, რეკლამისა და სპონსორების შესახებ ინფორმაციის საქართველოს კანონმდებლობასთან და ლიცენზიის/ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობა;

4. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ან კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის, აგრეთვე ლიცენზიის/ ავტორიზაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია ვალდებულია განიხილოს შესაბამისი საკითხი. დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მაუწყებელი წერილობით გააფრთხილოს. კომისიის მიერ მაუწყებლის მიმართ სანქციის გამოყენების მიზანი უნდა იყოს დარღვევის აღმოფხვრა ან პრევენცია. კომისია მაუწყებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დარღვევის აღმოფხვრისათვის ან პრევენციისათვის ღონისძიებათა განსახორციელებლად;

5. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის 71-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მაუწყებელს დააკისროს ჯარიმა არა უმეტეს მისი წლიური შემოსავლის 0,5%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2500 ლარისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „სტუდია მაესტროს“ მიერ დარღვეულ იქნა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^1-ე მუხლის მე-10 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტების, 55-ე მუხლის პირველი პუნქტის , 70-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, კერძოდ, იგი არ ანთავსებდა საკუთარ სამაუწყებლო ბადეში წინასაარჩევნო დებატებს. იმის გათვალისწინებით, რომ შპს „სტუდია მაესტროს“ მიმართ კომისიის 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით იდენტური დარღვევისთვის გამოყენებულ იქნა წერილობითი გაფრთხილება (იხ. კომისიის 2018 წლის 13 დეკემბრის N685/18 გადაწყვეტილება) და გაფრთხილების მიღებიდან 1 წლის განმავლობაში ჩადენილია ახალი იდენტური დარღვევა, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს „სტუდია მაესტროს“ უნდა დაეკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის 71-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მაუწყებელს დააკისროს ჯარიმა არა უმეტეს მისი წლიური შემოსავლის 0,5%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2500 ლარისა. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის წლიური შემოსავლის 0,5% არ აღემატება 2500 ლარს, შპს „სტუდია მაესტროს“ ჯარიმის სახით უნდა დაეკისროს კანონის დანაწესის მინიმალური ოდენობა 2500 (მტკიცებულება: კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სამსახურებრივი ბარათი N19-10-1263, 10.07.19).

V. სარეზოლუციო ნაწილი

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 95-ე, 96-ე და 97-ე მუხლების, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების 36-ე მუხლის, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^1 მუხლის მე-10 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტების, 55-ე მუხლის პირველი პუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, 71-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად ერთხმად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „სტუდია მაესტროს“ დაეკისროს ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^1 მუხლის მე-10 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტების, 55-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 70-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის გამო;

2. შპს „სტუდია მაესტრომ“ უზრუნველყოს: ა) წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა 30 სამუშაო დღის ვადაში, საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში შემდეგი რეკვიზიტების მიხედვით: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის ნომერი - 200122900; ბანკი-სახელმწიფო ხაზინა; კოდი - TRESGE22; სახაზინო

კოდი - 300773251; ბ) გადახდის დამდასტურებელი დოკუმენტის კომისიაში 3 დღის ვადაში წარმოდგენა;

3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ო. ვოტი) წინამდებარე გადაწყვეტილების შპს „სტუდია მაესტროსთვის“ დაუყოვნებლივ გაგზავნა;

4. გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის კომპანიისთვის ჩაბარების დღიდან;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) კომპანიისთვის გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში;

6. დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს (ნ. ამირიძე) შპს „სტუდია მაესტროსთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე მონაცემების კომისიის უწყებრივ რეესტრში შეტანა;

7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების პირველ და მე-2 პუნქტებზე დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ნ. დევდარიანი);

8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე (გარდა პირველი, მე-2, მე-3, მე-6 და მე-7 პუნქტებისა) დაევალოს კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტს (ი.მახარაძე).

კახი ბექაური

კომისიის თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი